შინაური საქმეები

ყოველკვირული გაზეთი.

№ 19.

კვირა, სექტემბრის 21, 1908 წ.

ფასი წლიურად — — 4 მან.
ნახევარი წლით — 3 მან.
ცალკე ნომერი ღირს 8 კაპეიკათ.
ადრესი: ქუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია.

შინაარსი: ცხოვრება და მწერლობა—მღ. ვლ. ფოფხაძისა; კორტოხას (ლექსი)—ალექსი ბერისა; მაგალითები, რომლებიც ამტკიცებენ სულის უკვდავებას და საიქიო ცხოვრების არსებობას—სანმანიანისა; ახლო-მახლო—კირილე წუთისოფლელისა; დამნაშავე (პსიხოლოგიური ეტიუდი)—ჯორჯისა; საყოველთაო პირველდაწყებითი სწავლა ბ. იმერეთის საეპარქიო მეთვალყურის ხელში—ბოსლეველისა; ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს—ივერიელისა; ქრისტიანული აღზრდა ნებისა—ე. ჩ—ძესა.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ხელის მომწერთ

წარმოადგინონ ჟურნალის წლიური ფასი.

რედაქცია ბოდიშს იხდის მკითხველებთან, რომ მე 17 ნომრიდგან შინაარსი შეცდომით შეუცვლელად გადავიდა მე 18 ნომერში.

ყოველკვირეულ გაზეთ

„შინაურ საქმეებზე“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში ქ. ქუთაისში (საბურთალო—კაზაკოვის—შესახვევში № 17) და საეპარქიო საბჭოში—წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 3 მან. ცალკე ნომერი ღირს 8 კაპ. აპრილიდგან იანვრამდის 3 მანეთი. გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებას.

ცხოვრება და მწერლობა.

(დასასრული *).

ცხადია, რომ ადამიანთა საზოგადოების ეკონომიაში ეს ორი ძალა ერთი მეორეს ავსებს, ერთი ქმნის საჭირო ნივთიერ ღირებულებათა, მეორე—ამა ღირებულებათა მოძრაობაში მომყვან და მოხმარების გამსაზღვრელ იდეათა.

ამ რიგათ მწერალთა მოღვაწეობას მჭიდრო კავშირი აქვს ნივთიერ ცვლილებებებთან. მწერალთა მიერ შექმნილნი ჭაზრი და იდეანი თანდათან ვრცელდებიან და შედიან ხალხის შეგნებაში; იქ შეურეეველ წარმოდგენებათ იქცევიან, და ბოლოს სდებიან მამოძრავებელ იდეებათ, რომლებიც საზოგადოებათა ცხოვრების მსვლელობაში იწვევენ ნივთიერ ცვლილებებსაც.

მართლაც, თუ თვალს გადაყავლებთ კაცობრიობის ისტორიას, დავრწმუნდებით, რომ მწერალთა ქმნილებანი შეადგენენ ნივთიერ პროგრესის ერთ უძლიერეს ფაქტორს. ასეთ წიგნებში პირველი ადგილი, რასაკვირველია, [illegible]

*) ის. „შინ. საქ.“ № 18.

ბადებას (ბიბლიას), იმ დიად წიგნს, რომელიც ღვთის სიტყვათ, საღმრთო განცხადებათ ითვლება. ყველამ უწყის მისი უსაზღვრო, განსაცვიფრებელი მნიშვნელობა კაცობრიობის ცხოვრებაში. მთელი ჩვენი ისტორია, მთელი კულტურა შექმნილია ამ წიგნში მოთავსებულ იდეათა, აღთქმათა ზედგავლენით. რაკი სალხში შეგნება შეიტანა, მან ძლევამოსილათ დაამხო საწარმართო ბერძენ-რომაელების ქვეყნები და მისცა სრულიად ახალი მიმართულება მერმენდელ კაცობრიობის ცხოვრებას.

ჩვენ ახლაც იმ ზომამდი ვართ ამ წიგნით მოხიბლული, რომ მნელი წარმოსადგენია, როგორ მოეწყობოდა ჩვენი ცხოვრება, რომ ეს წიგნი არ ეოფილიეო.

სხვა წიგნებთაგან, რომელთაც კაცობრიობის ისტორიაში დიდი გავლენა იქონიეს, გავიხსენოთ თხზულებანი ჰუმანისტებისა, რომელთაც მოამზადეს რეფორმაცია, საშვალო საუკუნის საზოგადოების წესწყობილების ბირიანათ შემცველი.

ჩვენშიაც რა საკვირველია დიდი გავლენა იქონიეს და ისეთივე საძსახური გაუწიეს ქვეყანას ჩვენი მწერლების ჰაზრთა და იდეათა—დაწყებული საღვთო წერილის მთარგმნელებიდამ ილ. ჭავჭავაძემდის, რომლის მადლიანმა შემოქმედებითმა ნიჭმა სულ ახალი ხანა შეჰქმნა ქართულ მწერლობაში.

ამნაირად მწერალთა განუენებულნი ჰაზრნი, ხალხის შეგნებაში გავრცელებულნი, ხდებიან ნივთიერ კულტურის ბრიელ წინწამწევ იარაღათ. მწერლობა რაკი საზოგადოების პროგრესის ხეშთამგონებელ იარაღათ ხდება ამით ხელს უწყობს ნივთიერ კეთილდღეობის აღორძინებას, განათლების გავრცელებას, მაშასადამე საზოგადოების ყოველ მხრივ წარმატებას.

ამ ჰაზრის მიხედვით ჩვენ ვგლოვთ ჩვენ ბუმბერაზ მწერალ ილია ჭავჭავაძეს, რომელმაც ყველა ჩვენ მწერლებზე მეტი იშრომა საზოგადოების ზნეობრივ, გონებრივ და ეოველ მხრივ აღზრდისათვის.

მთელი ლიტერატურული მოღვაწეობა განსვენებულისა სხვა არა იყო-რა, გარდა სიმართლისათვის თავგანწირული ბრძოლისა.

იგი სამართლიანად ითვლება ქართველ ერის გულის მესაიდუმლეთ. არ დარჩენილა კუთხე ჩვენის ქვეყნისა, რომ მისი წინასწარმეტყველური ნაბა არ მისწდომოდეს. არც ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა ჩვენის ცხოვრებისა მის ფხიზელ და გამჭრიახ გონებას არ გამოჰპარვია; ის გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს ცხოვრების მიმდინარეობას და შეუდარებელ პოეტურ თხზულებებში ცოცხლად ხატავდა ცხოვრების მაჯის ცემას. საკმაოა გავიხსენოთ მისი მრისხანე დაგმობა ბატონ-ყმობის დუხჭირ და გამათახსირებელ მოვლენათა და ეოველნაირ გარეგნილებათა შესახებ. მან, თავის „კაკო ყაჩაღში“, „ბლახის ნაამბობში“, „კაცია ადამიანში“, „რა ვაკეთეთ, რას ვშერებოდით“

და სხვა თხზულებებში, მეტად მძლავრ სიძულვილით აღნიშნა ქართველ ერის ნაკლულევანებანი, „ილია ჭავჭავაძის მსოფლიო შეხედულების უმთავრეს საგანს შეადგენდა უარეოფა დღევანდელ წესწყობილებისა და სურვილი ასალ საკეთესო ხანის დამყარებისა, რომელშიაც ადარ უნდა ეოფილიეო ერთმანეთის გაუგებრობა, როგორც წოდებრივ, ისე საზოგადო ნიადაგზე აღმოცენებული.

იჭვი არ არის ჭაზრი და გრძნობანი, რომლებიც თავის სიცოცხლის განმავლობაში ასე ძლიერათ ამოქმედებდენ განსვენებულს და რომლებიც უთვალავს მკითხველებს ღრმათ აქვს გულში ჩაჭრილი, ადრე იქნება, თუ გვიან, ჭეოებენ თავის განხორციელებას და გამოიღებენ ცხოვრების თვითეულ სფერაში შესაფერ ნაეოფს.

მღ. ვლ. ფოფხაძე.

2 მარტი 1908 წ.

კ ო ტ ო ხ ა ს.

—

წავიკითხე შენი ლექსი:
„არონისა“ მიძღვნილობა“ *)
საადამო ერთ-ნათესავ
ყველა ტომის ერთსულობა.

—

მართალი ხარ შენ ამაში,
სული ყველას ერთ-საძმოა,
გვამი მიწით, სული ზეცით
მონაბერი რომ სალმრთოა.

—

ამას თუმცა კი გიმოწმებ
მაგრამ ნაკლსა არ დაგითმობ;
ძმურად მსურის გაგისწორო,
ზე აღსავალს რომ ასე გმობ.

—

რწმენა ბრბოსთვინ მხოლოდ საზღვრულ
წყალობის ქმნად, შენგან თქმული,
მაპატივე, ვერ საბუთობს,
მდაბლ ხედვაა და არ ბრძნული.

—

მე არ მესმის ის იდეა,
რაც მთელ ქვეყნათ აზროვანობს,
იყოს იგი უბრალო რამ,
ბრბოსთვინ ვითომ რომ აკვანობს...

—

გაჩნდა ადამ, გაჩნდა რწმენა,
ბრბოს ადგილი აქ არ უძევს;
სული ღვთისკენ მიისწრაფის,
შემქნელისკენ ქმნული იწევს.

—

რწმენას სახავ სამოსელად;
აქ კი აზრი ცთომილია:
რწმენა სულის თვისებაა
და არ ძაფით ქსოვილია.

—

სულის ძალა, სულის ცნობა
მის დასაბამს ემეცნება,
მას ეძიებს, მას მხედველობს
და არ ჭინჭში ეოცნება.

—

რწმენის მაღალ სიდიადეს
სრულად ვერვინ გაექცევა,
ნაპერწკალი ელვასებურ,
ვგონ, ხანდისხან შენც გეჭცევა.

—

ორგულობა, ორპოფობა,
აზრთა რევა იქვით რთული
შენ მრწამშიაც გაგიჩნდება
გაურკვეველ დახლართული.

—

ვერც არაზე დაამყარებ
რაც გინდ ვარყო ყველაეფრი,
მაინც გულში გაგიელვებს
საუკვდავო სახე-ფერი.

—

ეს ბუნებურ სულის ღელვა
არ გარეგნულ ნაბადია,

*) „ნიშადური“ № 48 1908 წ.

თანდაყოლილ ზნეა სულის
მის არსების ნაბადია.

—

რისგან ლტოლვა არც შენ ძალ-გიძს,
ამ პირობით ხარ შეკრული
მით რომ ყველა საადამო
პირობებში ვართ შთავლული.

—

ვერც ერთი ვინ ჩვენთაგანი
სულის ცნებას ვერ ადუმებს,
რასაც იგი მის საყდარში
სამხილებლად გვირახუნებს.

—

გინდ ქვესკნელში აგდოკრული
ზენას მაინც მოგაგონებს,
მაგრამ უდებ, არ მორწმუნე
მის ნათელ ხმას მოამდოვრებს.

—

მრწამს, რომ ყველას გაგიელვებსთ
უკვდავ ყოფა ნელის ხმითა,
მაგრამ ჩაკლავთ, ქვასა დაკრებთ,
მარხავთ მკვდოვნათ ვარის თქმითა.

—

მარხეთ გულში სანამ დღე გაქვსთ,
ჩაიკალითა სულის რწმენა,
რადგან მცნება ღვაწლსა ითხოვს
და მძიმეა თქვენთვის თმენა.

—

ნუ ვინ ცდილობთ, ძმაო „კორტოხ“,
კოვზით ზღვისა ამოშრობას,
რომ გაზომოთ სიღრმე მისი,
ნუღა კარგავთ ფუჭედ შრომას.

—

ადამიანს რწმენას ართმევთ
ძვირფას სულის სიდიადეს,—
მითხარ ნაცვლად თქვენ რას აძლევთ,
რომ პირუტყვად ის არ გახდეს?

—

პურსა ართმევთ საღმრთო საზრდელს,—
გვითხარ რა გაქვსთ მაგიერი?
ნაცარ ვქექოთ, თუ ქვა დავფქვათ,
გავხდეთ თქვენი მადლიერი?

—

ვერც ცას წვდებით, ვერც ქვეყანას
აძლევთ რამე სალხინებელს;
მემკვიდრეს კი მრავალს ტოვებთ
თქვენი სულის მაგინებელს.

—

ურწმუნობით ნუ ვ ნ იქებთ,
რომ სოფელი აღაშენოთ
და ცხოვრება მასში კაცთა
სათნოებით დააშვენოთ.

—

აოხრება ველურებრივ
უფრო მოსალოდნელია
და მაშინ კი მთვრალ გრძნობებით
იყვირეთ სულ „ოდელია“.

ალექსი ბერი.

მაგალითები, რომლებიც ამტკიცებენ სულის უკვდავებას და საიქიო ცხოვრების არსებობას.*)

„ვისაც ამ თეორიის უარყოფა სურს, უნდა დაამტკიცოს, რომ მსგავსი ფაქტები არ ყოფილა; გარნა უბრალო უარყოფით და ურწმუნოებით არ ისპობა ფაქტები, რომლებსაც მოწმობს სამი მოწმე, რომლებიც იკვლევდენ მათ ხუთი წლის განმავლობაში — საღი აზროვანი და განათლებული ადამიანები, რომლებიც მთელ ამ ხნის განმავლობაში ისე იქცეოდენ და ისე მიჰყავდათ თავის საქმეები, რომ დაიმსახურეს პატივი და ნდობა თავის მამულიშვილებისა.

„ყველა ზემოაღნიშნულის შემდეგ მე ვამტკიცებ, რომ სპირიტიული მოვლენანი არ საჭიროებენ არავითარ ახალ დამტკიცებას. ისინი ისევე კარგად არიან დამტკიცებულნი, როგორც სხვა ფაქტები მეცნიერებაში, და არავითარ უარყოფით არ შეიძლება მათი დარღვევა. სპირიტიზმის უარისმყოფელებს რომ შეეძლოსთ წამოაყენონ თავის ისეთივე სრულ და ხანგრძლივ კვლევა-ძიების აღწერილობა, როგორც არიან კვლევა-ძიებანი მის დამცველთა, რომ იმათ შეეძლოსთ გამონახვა და დაწვრი-

*) იხ. „შინ. საქმეები“ № 18.

ლებით ახსნა ან როგორ წარმოსდგებიან ეს მოვლენანი, ან ჩვენი ზეშონახსენები მეტად მსჯელი და ნიჭიერი ადამიანები როგორ მოტყუვდენ და დარწმუნდენ იმაში, რომ იგინი იყვნენ თვითმხილველნი ნამდვილ მოვლენათა და რომ ამასთან მათ შეეძლოსთ თავის თეორიის სიმართლის დამტკიცება,—მხოლოდ მაშინ, და არა უადრეს, საჭირო შეიქნებოდა სპირიტებისათვის, წარმოედგინათ ახალი ფაქტები, საკმაოდ ცხადი და უცილობელი, რომ დაერწმუნებიათ თითოეული პატიოსანი და მომთმენი მაძიებელი.

„ვლებულობთ რა მხედველობაში ყველა ამ მოწმობებს და საბუთებს, ჩვენ უფლება გვაქვს ვსთქვათ, რომ სპირიტიულ ფაქტებს და ამასთანავე სპირიტუალისტურ თეორიას, როგორც ერთად ერთს, სრულიად საკმაოდ ამხსნელს—დღევანდელ დროში აქვსთ სრული მედგარი საფუძველი“.

—ბევრი რამ გაუგებარი და საკვირველი უნახავს ბ. გიუგოს. მის ოთახში ისმოდა ხოლმე გაუგებარი ხმაურობა და რახუნი—კედელში. ხანდისხან, სრულიად უქაროთ ქაღალდები თავისთავად პუწიაწობდენ სტოლზე, კარლს და ფრანც გიუგოებს ესმოდად ხოლმე იგივე ხმები მეზობელ ოთახში. ერთხელ ღამით, ქ-ნმა გიუგომ სიბნელეში გაიღვიძა, თუმცა მშვენივრად ახსოვდა, რომ დაწოლის დროს სანთელი არ დაუქვრია. ვის უნდა გაექრო იგი? 22 თებერვალს ბ. გიუგო შემთხვევათ შემოვიდა გვიან საღამოს ზალაში, რომლის ორი ფანჯარა გამოდიოდა ქუჩაში. ბუხარი ჩამქრალიყო, ლამპა და სანთელი არსად იდგა, მოსამსახურეებს ეძინა: შემდეგ იგი გავიდა თავის ოთახში, დაწვა და დაიძინა. ამავე ღამის ორ საათზე დაბრუნდენ სახლში კარლ და ფრანც გიუგოები და განცვიფრებით დაინახეს, რომ ზალა განათებული იყო არა თუ ანთებული ბუხრით, არამედ იმდენად, რომ კაცს ეგონებოდა ჰანლები აუნთიათო. განცვიფრებულებმა მოინდომეს ზალაში შესვლა, მაგრამ დაკეტილი აღმოჩნდა.

ამ შემთხვევასთან „ჟურნალ დე ესხილ“-ში პირველად არის ნახსენები სტოლის ტრიალი. ასეთი მოვლენისგან განცვიფრებულმა კარლ გიუგომ სინჯა სტოლის შეკითხვა. სულმა, რომელიც გამოელაპარაკა პირველ სიანსშივე დაირქვა „თეთრი მანდილოსანი“ და განუცხადა, რომ დანარჩენს იგი შეატყობინებს მხოლოდ ქუჩაში დილის სამ საათზე. რადგანაც ბიქტორ გიუგო არ იყო გულადი კაცი, ამიტომ დაინახა, რომ დროც და ადგილიც ურიგოთ იყო აღრჩეული, და სახლში დარჩა; დანარჩენებმაც მას მიბაძეს. ღამით, როცა ბ. გიუგო ჯერ კიდევ იჯდა, ჩვეულებისამებრ, თავის საწერ სტოლზე, უეცრათ გაისმა ძლიერი რეკა კარებში. „აჩრდილნი ნამეტანი აღმასრულებელნი არიან დანაპირებისა“, წამოიძახა მან და ამის შემდეგ რაღაც მღელვარებას გრძნობდა ხოლმე. მოგვყავს შემდეგი ნაწყვეტი მისი ნალაპარაკევისა ახლობლებთან.

ბ ი ქ ტ ო რ გ ი უ გ ო. წინეთ თავისუფლად მეძინა ხოლმე, ეხლა დაბინდდება თუ არა, რაღაც შიშსა ვგრძნობ; ღამე მეღვიძება და რაღაც უსიამოვნოდ მიკანკალებს მთელი სხეული. ოთახში ხშირად მესმის სულების რაკუნი, ხოლო ხანდისხან ასეთი ძლიერი ხმაურობაც (აქ მან ძალზე დაჰკრა სტოლს ხელი). ორი თვის წინეთ სანამ „თეთრი მანდილოსანი“ თავის სურათს გადმოგვიგდებდა, მე არაფერ იმისთანას არ ვგრძნობდი, ეხლა კი, უნდა გამოვტყდე, გავეცანი შიშის გრძნობას.

ქ-ნ ი გ ი უ გ ო. შენ მუდამ ასეთი ყოფილხარ ხოლმე. როდესაც საკსენ-კობურგი გადაიცვალა და შენთან შემოვიდა დედა მისი სასოწარკვეთილი ტირილით, შენ ისე შეგეშინდა, რომ ორი კვირის განმავლობაში არ შეგეძლო ღამე მარტო დარჩენილიყავი; აგრეთვე გდევნიდა შენი ჩვენება, როცა შენ წერდი „განსჯილის უკანასკნელი დღე“-ს: შენ არ შეგეძლო თავი დაგეხწია იმ მოხუცებულ ქალის სახისაგან, რომელიც, შენი წარმოდგენით, გამოეცხადა ძილში განსჯილს.

ო გ ი უ ს ტ ვ ა კ ე რ ი. ყველა ეს აღემატება ჩემ წარმოდგენას. მე ვფიქრობდი, რომ უკვე ჰკუის სიმწიფის ხანაში შეეედით, ხოლო სჩანს შორს არ გავცილებულვართ საშუალო საუკუნოების ოცნებებს.

ბ ი ქ ტ ო რ გ ი უ გ ო. რასაკვირველია, ქვე-

ყანა კიდევ ბალღურ მდგომარეობაშია; კაცობრიობას არ შეუძლია დაკმაყოფილდეს მხოლოდ ფილოსოფიით, არ შეუძლია გაძღოს, თუ ზეგანცხადება არ აქვს. კაცისგან გამოკვლეული ჭეშმარიტება, უნდა დამტკიცებულ იქმნეს ღვთისაგან. 15 წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც მე სტოლის ტრიალის მოვლენას გავეცანი და დავსწერე მაზე წიგნი, რომლის გამოცემასაც ასე დაჟინებით მთხოვს ჩვენი ქალი დამამტკიცებელ მოვლენების დამატებით. თითქმის ყველა დიდებულ ადამიანებს ჰქონიათ ზეგანცხადება. სოკრატს ჰყავდა თავის მცველი გენია. ზოროასტრს—როგორც თითონ ამბობს—ჰქონდა განსაკუთრებული ნიჭი კეთილის და ბოროტის თვალსაჩინოდ განრჩევისა. შექსპირი ხედავდა ხოლმე აჩრდილებს. ასი წლის შემდეგ შეიძლება სთქვან, რომ ჩემი წიგნი ჩაგონებულია აჩრდილისაგან, რომელიც გამოშეცხადა მარინოს მაღლობზე.“

შევჩერდეთ აქ, მიტომ კი არა რომ მოყვანილ მეცნიერთა და ლიტერატორთა მეტს არავის სწამს სულის არსებობა და ის, რომ მას შეუძლია ზოგიერთ შემთხვევაში ხილულად გამოჩნდეს, არამედ იმიტომ რომ გონიერთათვის ესეც საკმარისია, ხოლო უგნურთა და თავგადადებულ ჟინიან ურწმუნოთათვის ასი ამდენიც საკმარისი არ იქნება. ამის შემდეგ, მგონი, უფლება გვაქვს, მოვიყვანოთ მაგალითები სასულიერო პირთაგანაც. ამის შემდეგ ჩვენ გვექნება საქმე იმ მაგალითებთან, რომელსაც იძლევა საეკკლესიო ისტორია და წმიდათ მოწამეთა ცხოვრება, რომლებისაგანაც უცხადესათ სჩანს სულის და საიქიო ცხოვრების არსებობა. შეიძლება, ამ მაგალითებს რაიმე გავლენა ექნეს ურწმუნოთა დაჟანგულ გულზე და თუ არა რა გაეწყობა მორწმუნე უფრო განმტკიცდება თავის რწმენაში.

სანმანიანი.

ახლო-მახლო.

(დასასრული.*)

დავაკვირდეთ, რა საშვალებით ვრცელდება ჩვენში უგნური სწავლა, რომელი წყაროდგან ამოგვაქვს ჩვენ ეს ჩხეიძური შეხედულობა საგანზე? ესრეთი სწავლა გადმოდის ჩვენში ორ გვარის საშუალებით: პირველად ბეჭდვითი სიტყვით და მეორედ ხელით (თუ თავით) გადმოაქვსთ ჩვენსავე ახალგაზდებს და ჩვენ გვგონია ორივე მართალია, თუმც ნამდვილად ორივე ყალბ ნიადაგზეა აღმოცენებული. ჯერ ერთი, ბეჭდვა შეიძლება, როგორც ზნეობრივი, ისე უზნეო წერილების, რასაც გარჩევა უნდა და, რომ გულ-და-გულ წავიკითხოთ ერთიც და მეორეც, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ჭკუა დალაგებული მკითხველი პირველს მიიღებს და მეორეს უკვუაგდებს. მაგრამ ჩვენ ასე არ ვიქცევით: „ამხანაგების“ რჩევით ვიძენთ და ვკითხულობთ მეორეებს და არ ვეკარებით პირველებს. ასე გასინჯეთ, დღეს ისეთი შეხედულობაც-კი გამეფდა, რომ ზნეობრივი წერილების კითხვა სასირცხოდ მიგვაჩნია და ასეთი „სასირცხო“ მდგომარეობიდან რომ დაგვიხსნან, ,,ამხანაგები'' პროპაგანდასაც-კი ეწევიან, რომელი წიგნები და ჟურნალ-გაზეთები უნდა ვიკითხოთ; მეორედ, საზღვარგარეთიდან დაბრუნებული ჩვენი ახალგაზდები, ჩვენ ყოლიფრის მცოდნე გვგონია და მათი შეხედულობა ჩვენ მცნებათ გაგვიხდია, რადგანაც გვგონია, რომ საზღვარგარეთ ნამყოფ პირს მთელი საზღვარგარეთი აქით მოაქვს და სრულიადაც არ ვფიქრობთ, რომ ჩვენი ახალგაზდები იქ სუნით დაეძებენ ,,ამხანაგებს'', რომ მსგავსმა—მსგავსისათანა განისვენოს, „მსგავსი“ აზრებით გაიჟღინთოს და „მსგავსადვე“ ჩვენც გაგვჟღინთოს... ისინი სრულიადაც არ ტრიალობენ მაღალ წრეებში, არ აკვირდებიან და, თუ აკვირდებიან, არ სარგებლობენ გარეშე ქვეყნების კეთილი მხარეებით და საზოგადო შეხედულობით. ამ სახით სხვა ქვეყნებიდან გადმოაქვსთ ჩვენში, რაც გამრყვნელი და მანკიერია და იქ-

*) იხ. „შინ. საქ.“ № 18.

ვე სტოვებენ რაც უმანკო და მარგებელია. ავიღოთ მაგალითად განათლებული ქვეყნები. ჩვენი ახალგაზდათაგანი, გინდ იქ ნამყოფიც, არავინ გეტყვის (არც იცის, რასაც არ დაკვირებია), რამდენად აყვავებულია იქ ზნეობა საზოგადოდ მაშინ, როდესაც, თუ სადმე კერძო ცხოვრებაში უზნეობა იპოვეს, ერთს ორად გადმოგვცემენ, გადმოგვცემენ არა როგორც უზნეობას, არამედ როგორც უმაღლეს ზნეობის ჭეშმარიტებას. საფრანგეთში „გრაჟდანსკი ბრაკიაო", ამბობენ „ამხანაგები„ და იმას კი არ ითვალისწინებენ, თუ როგორ უყურებენ ამ ბრაკს სხვა განათლებულ ქვეყნებში.—ორი-სამი წლის უკან, როცა რუსის მწერალი მაქსიმე გორკი ამერიკაში გაემგზავრა, იქ (ამერიკაში) მოისურვეს დიდის ამბით მიეღოთ ეს ვაჟ-ბატონი, მაგრამ როცა ჟურნალ-გაზეთებში გამოამჟღავნეს, რომ გორკი, ნაცვლად კანონიერი მეუღლისა, საყვარლით (ხასით) მიბრძანდებოდა, საზოგადოებამ აზრი შეიცვალა და ნაცვლად დიდებული დახვედრისა, უმნიშვნელოდ ჩაიარა „ბოსიავკების" მწერლის ამერიკაში მოგზავრობამ...

ჩვენი ხალხი ვერ გრძნობს სარწმუნოებრივ გემოვნებას, არ იცის მისი ზედ-გავლენის მნიშვნელობა ცხოვრებაში და არ იცის იმიტომ, რომ არ ჰსურს იცოდეს... კაცი, რაც აქვს, იმის ღირებულობას მაშინ გრძნობს, როცა ეკარგება. აგრეთვე სარწმუნოების მნიშვნელობას ხალხი მაშინ დააფასებს, როცა ის ხელიდან გაეცლება, მაგრამ გვიანლა იქმნება. სულ ცოტა შორს მჭვრეტელობაა საჭირო, მივხვდეთ, რომ სარწმუნოების დაკარგვით არც იმ ვაჟ-ბატონებს მოელის კარგი დღე, რომელნიც დღეს, მის (სარწმუნოების) უსარგებლობას ღაღადებენ, მაგრამ გონებით ბეცი ამას წინ და წინ ვერ მიხვდება.

სჯულის კანონად ჩვენ გვაქვს სახარება. ამბავ ვინ გიჟი დაამტკიცებს, რომ უამსახარებოდ დამყარდება „ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება". ის (სახარება) ცხოვრების ნათელია: იქ ჰპოებენ მაშვრალი შესვენებას, ლარიბი სიმდიდრეს, მდიდარი ზომას, მწუხარე ნუგეშს, უვიცი სიბრძნეს, სასწარკვეთილი იმედს, დაბნეული გზას, შიშველი სამოსელს, შეძულებული სიყვარულს, ტყვე თავისუფლებას და მორწმუნე ღვთის სასუფველს აქ და საუკუნო ცხოვრებას საიქიოში. კაცმა შეიგნოს სახარება, იცხოვროს მისებრ და მაშინ ნახავს რა დიდი ლოდი ჩამოვარდება მისი გულიდან, რომელიც მას აწევს და სუნთქვას უშლის. მაგრამ ვისაც სურს პირველ შეხვედრილ სვეტს თავი შეატეხოს, უკუაგდოს სახარება. უგნურს შეუძლია მზის სინათლეშიაც კილი პოვოს, მას შეუძლია თავის-თავიც განკილოს, აიღოს ბაწარი და ჭერზე თავი ჩამოიკიდოს, მაგრამ განა ეს საწამებელია? ნუ თუ მარგებელია, ასეთ უგნურების შეხედულობას საზოგადო მნიშვნელობა მიეწეროს? ჯერ მელებმა არ მიიღეს მათი კუდმოგლეჯილ თანამის რჩევა საზოგადოდ კუდების დაგლეჯის შესახებ, თორემ რა უნდა ითქვას გონებით აღჭურვილ ადამიანზე!... ახია, რაც მოუვა ჩვენ „სხვის დამჯერე, წყალში ჩამჩერე" საზოგადოებას... ორთავ თვალებით ბრმა ნათელს ვერ ხედავს. ბრმას ცხვირზედაც რომ მზე დაუდგათ, მაშინაც-კი იტყვის:—ვერ ვხედავ, ბნელიაო."

რაც გინდა იყოს, უმთავრესი მიზეზი ჩვენი ზნეობრივი სიდუხჭირისა ჩვენშივე მოინახება,—მოინახება ახალ-თაობის—მომავალი იმედის აღზრდაში.

„როცა თბილისში ახალ-გაზდა დამნაშავეთათვის გამასწორებელი კალონია დააარსეს, იმ დროის ქუთაისის გუბერნიის უფროსს უთქვამს: „აქაური მკვიდრთათვის კანონი არ არსებობსო. სანამ ამა თუ იმ საქმეზე რამე კანონი დაიწერებოდეს, აქაურებს მისი მოსავლელი კანონიც შეგნებული აქვსო." ეს სწორედ იმაზე უთქვამს, რომ კალონიაში ნამდვილი დამნაშავეთათვის ადგილი ვერ ეპოვნათ, რადგანაც ის (კალონია) ისე გავსილიყო ისეთი მცირეწლოვნებით, რომელთათვის თვით მამებს უსწავლებიათ თურმე დამნაშაობის ჩადენა, იმ ღატაკურ მოსაზრებით, რომ მათი შვილებისთვის რაიმე ხელობა ესწავლებიათ.

ჩვენ არას ვიტყვით, იმის შესახებ, რომ უცნაური „ნიჭი" გვაქვს ამა თუ იმ საქმის,

ასე თუ ისე გამოყენების, რაც ზოგიერთ ხალხს სიზმრადაც არ მოელანდება; გვინდა ვსთქვათ იმაზე, რამდენ ყურადღებას უნაწილებენ ჩვენი მამები მათი შვილების ზნეობრივად აღზრდის საქმეს. ჩვენი მამები სრულიადაც არ თაკილობენ, რომ მცირეწლოვან შვილებს მათი ზედამხედველობით ქურდობა დააწყებინონ, თუ სამაგიეროდ ამ მცირეწლოვნებს დურგლობას ან მეჩექმობას ასწავლიან. (!)

,, ნუ ამხელთ, რათა არა შეგიძულონ.''—,,რომელ სოფელშიაც მიხვიდეთ, იქაური ქუდი დაიხურეთო.''—ამბობს ჩვენი ხალხი. ეს დახავსებული და ფარისევლური თქმულებანი პატიოსანი კაცის სახელმძღვანელოდ არ ვარგია. რაც გინდ შეგვიძულონ, სიმართლე მაინც უნდა ითქვას; აგრეთვე პატიოსანი კაცი თავის ქუდით უნდა დაიარებოდეს ყოველგან და არა ნათხოვარით. პატიოსან კაცს არ შეშვენის თავის ქუდი (შეხედულობა) მოიხადოს და შეხვდება, ავაზაკისა დაიხუროს, შეხვდება, ქურდის და უზნეოსი. ჭეშმარიტი შთაბეჭდილების და თან მტკიცე ხასიათის კაცი, თავის ქუდით შედის სოფელში და თავისავე ქუდით გადის იქიდან, რაც გინდ ვნება მიადგეს სოფლის ბაღლინჯოებისგან... ჩვენ საზოგადოდ ვიხურავთ არა თუ იმ სოფლის ქუდს, სადაც შევდივართ და გამოვდივართ, არამედ იმის ქუდსაც-კი ვიხურავთ, რომელზედაც ჩვენ რაიმე გაგვიგონია, რაც გვემჩნევა ყოლიფერში და, სამწუხაროდ, შვილების აღზრდაშიაც-კი. შვილებს ჩვენ წაბაძვით უფრო ვზრდით, ვიდრე საკუთარი რწმენით და შთაბეჭდილებით და, ერთის მხრით, სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ჩვენი სასულიერო სასწავლებლები ასე უცნაურად ცარიელდებიან. ბავშვი თუ ოჯახში ადამიანურად აღზრდილია, ის სასულიერო სასწავლებლიდანაც განვითარებული გამოდის, მაგრამ ბოვშობიდანვე ზნეობრივად გათახსირებულ ახალგაზდებს თვით პავლე მოციქულიც აღმზრდელად რომ დაუყენო, ასში თუ ერთი გამოვა ადამიანად. ნაცარი, რაც გინდა კერიიდან დასძრა, მაინც ნაცია და ნაცარი

ბავშს თადაპირველად ოჯახი უნდა ზრდადეს. ამის ღაღადება ახალი ამბავი არ არის თეორიულათ. მაგრამ პრაკტიკულათ ჯერ ვერ შევჩვეულვართ, რომ შვილები ოჯახს რიგიანათ აღვაზრდევინოთ სკოლაში ზნეობრივ სწავლას ის ითვისებს, რომელიც ოჯახს ზნეობრივად აღუზრდია; ოჯახში მხეცურად გაზრდილი, სკოლაშიაც მხეცად რჩება და თუნდ იმასაც აზეპირებენ: ,,პატივ ეც მამასა შენსა და დედასა შენსაო'',—მაგრამ ეს მის გონებაში აღარ შედის. საზოგადოდ, როგორც ოჯახი, ვერც დღევანდელი სკოლები დაიქებენ ახალთაობის ზნეობრივად აღზრდის საქმეს. დღევანდელ სკოლებში შეგირდები, რამდენად ცოდნას ითვისებენ, ორი იმდენად ზნეობრივად ირყვნებიან და სწორეთ იმიტომაცაა, რომ მოზარდი თაობა ზნეობრივად მახინჯები გამოდიან.

საუკეთესო სკოლას შეადგენს ახალთაობისთვის საზოგადოება, რომელშიაც იგინი ტრიალებენ და ლიტერატურული ნაწარმოებები, მაგრამ ვერც ერთში და ვერც მეორეში დღეს ეს თაობა ნოყიერ სულის საზრდოს ვერ პოულობს და მავნებელს-კი ბევრს. ჩვენს ვაჟბატონებს არ ჰყოფნის, რომ მათი უზნეო ცხოვრების მაკალითი ფოტოგრაფიულ სისწორით გადადის ახალთაობის ნორჩ გონებაზე,—ამ მაგალითს ჩუმად, თუ აშკარად დარიგებასაც უმატებენ: თუ როდის, რა ნაირად და რა ნიადაგზე ,,იბუნტონ''; თუ რა ნაირი შეხედულობა იქონიონ სჯულზე, სულზე, უფროს-უმცროსობაზე და საზოგადოდ ზნეობის გამომხატველ საგნებზე. აძლევენ დარიგებას, რომ სამშობლოს სიყვარული სულელური მოსაზრებაა; შთამოებას (ნაციას) არავითარი მნიშვნელობა არ უნდა ეძლეოდეს ცხოკრებაშიო და სხ. ამას დაუმატეთ ის უგნური და უზნეო წერილები, რომელნიც შეუწყვეტლად იბეჭდებიან სხვა და სხვა წიგნაკების სახით ჟურნალ-გაზეთებში. მაგ. დიდი გომართლის ტვინის (სადაც მას სულიც უბუდობს) ნაწარმოებს, რომ თავი დავანებოთ, ნორჩ-გონების გასარყვნელად საკმარისია ის პატარა უაზრო წერილებიც, რომლებიც ასე იწყებიან: „ძმაო ეშმაკო!" „შენი სულის ჭირიმე ეშმაკო..." „შენი კუდინი ეშმაკო..." და სხვა.

კირილე წუთისოფელი.

(შემდეგი იქნება.)

ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔ.

(ᲞᲡᲘᲮᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲐᲢᲔᲣᲚᲘ).

სასამართლოს დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. დამნაშავის სკამზე იჯდა მაღალი, მოხდენილი ტანის კაცი. პირისახეზე ეტყობოდა, რომ მცირე ზნეობრივი ტანჯვა გადაეტანა. ამასვე ნათლად მოწმობდა მისი რამდენიმე თვის განმავლობაში გაჭალარებული თმა.

— მატონებო, დაიწყო მან, აქამომდე არ მინდოდა მეთქვა, თუ რა გარემოებამ მიიყვანა, ეს საზიზღარი საქციელი ჩამედინა. სოფელში იტყვიან, და თქვენც გაგონილი გექნებათ, რომ ადამიანი თავის სიცოცხლეში ერთხელ მაინც შეიშლება.

რასაკვირველია, ბუნებრივ აგებულებაზედაც ჩადენილია ეს შემთხვევა. არის ადამიანი, რომელსაც ეს სენი მარტო წუთიერი ავხასიათობით ეჩენება, მაგრამ არიან ისეთებიც, რომელნიც ამ ყოფაში ჩადენილ საქმეებისაგან მთელ სიცოცხლეში დატანჯულნი რჩებიან. აი, თუ გინდათ, ის ვაჭარი, რომელიც ჰყვიან კაცად არის ცნობილი; მისი ხასიათით და ზნეობით მან მთელი საზოგადოების ყურადღება დაიმსახურა. არც ერთი საქმე არ გაირჩევა, რომ მან მონაწილეობა არ მიიღოს, მაგრამ დახეთ, ერთს მშვენიერ დღეს ის იჯარით ისეთ საქმეს იღებს, რომ მის გარდა ყველა დარწმუნებულია მის გაკოტრებაში. ის არავის უჯერის, ჯიუტდება, საქმეს ღებულობს და იღუპება. ან ვის არ გაუგონია, რომ ადამიანი, რომელიც აღკოგოლს ისე გაურბის, როგორც ტყვიას, ერთ დღეს შედის მარაბში, თერგება და ჩხუბის დროს მოთლით თავს უტეხს თავის თანამოქეიფეს. ცხოვრებაში გართული ადამიანი ერთ წუთში გადაწყვეტს ბერობას და მრავალ წლობით მლოცველი ბერი ცხოვრებას უბრუნდება.—ასეთი წამები განურჩევლად ეწვევიან ხოლმე მეფეებს, მმართველებს, ძლიერთა ამა ქვეყნისათა, სწავლულებს და უმეცრებს... საშინელია, მატონებო, ეს წუთი: იგი ბნელ ბუნებაში ხვევს და თითქმის სრულიად სპობს ადამიანის აზროვნებას, თვითცნობიერებას. და აი მეც მეწვია ასეთი წამი და იმიტომ ჩავიდინე ეს საზიზღარი საქციელი... ჩემი ოჯახი ერთობ მიყვარდა... დილიდან საღამომდისინ ჩემს შუბლს და მკერდს თვალი არ მოშორებია, რომ ცოლშვილი რიგიანად შემენახა... ღამე იყო. ჩემი ცოლი ქათამს აყენებდა, იქვე ახლო ფილთაქვა მეღვინე და ნაჯახს ელესაენი.....

ტაბილ სოუბარში ვიყვნით გართული. ჩემი ქალიშვილი ანეტა კუთხეში იჯდა და ჩანგურს უკრავდა, იქვე ახლო აკვანში ბავშვს ეძინა... უცერად კატა გამოჩნდა, იქვე ახლო ფეხები მოიკეცა და ქათამს მაცდურად მიაკერდა. გავაფრთხილე, მაგრამ მაინც თავისა არ მოიშალა, მაშინ ნაჯახი მოვიბრუნე და ტარი გადაეკონე. კატა გამექცა, მაგრამ ისევ მოტუნცელდა და გობზე დადებულ ქათმის გატაცება მოინდომა. მახსოვს ნაჯახს დავუდე, მისი პირი სამართებელივით ელოდა... კატის თავის შეაზე გაპობის შემდეგომ, როცა ცოლმა შემომძახა—ეს რა ჭკნი შე ოხერიო,—მაზედაც ხელი ავსწიე და მერე არაფერი მახსოვს... მხოლოდ როდესაც ჩემ ანეტას დაპრის შემდეგ, აკვანში მწოლი ბავშვის ყისლი პირზე შემომეშხეფა, მაშინ თითქოს გამოვფერკალი.. შეკერთი... და მერმე ბავშვივით ხლეული მოვრთე... მივვარდი ერთს.. მეორეს... მესამეს... თავგატეხილი ცოლი მიწაზე გაშხლართულიყო... იქვე ახლო ეგდო ბეჭებ ჩამოჭეხილი ანეტა და წაქცეულ აკვანში სულს ლაფავდა ჩემი მატარა ერთად ერთი ვაჟიშვილი... ამის შემდეგ, მატონებო, ჩემს თვალებს ცრემლები არ მოშორებია... დამსაჯეთ!... გთხოვთ არ მაპატიოთ!... ღღეს თუ ხვალ, სულერთია, მაინც ვერ გადაურჩები ამ ტანჯვას... მაღლია ჩემი საქციელი, ჩემი სიცოცხლის ბოლოს მოღება... ვერ დაითმინა ღმერთმაც და გულს შემოეყარა, დარაჯებმა გარეთ გაიყვანეს; თავმჯდომარემ საქმე შემდეგისთვის გადასდო და გულმოკლული საზოგადოება ხმაამოუღებლად დაიშალა.

ᲯᲝᲠᲯᲘ.

საყოველთაო პირველდაწყებითი სწავლა ბ. იმერეთის საეპარქიო მეთვალყურის ხელში.

კაი ხანია უწმიდესმა სინოდმა ცირკულიარით მიმართა საეპარქიო საბჭოებს და უბრძანა შეედგინათ გეგმა ანუ ეგრეთწოდებული სასკოლო ბადე, რომლის მიხედვით უნდა შემოღებულიყო საყოველთაო სწავლა სახალხო პირველ დასაწყის სკოლებში. ერთი ასეთი ცირკულიარი იმერეთის საეპარქიო საბჭომაც მიიღო და გადასცა შესასრულებლად ბ ეპარქიის მეთვალყურეს. მას აქეთ გადის აგერ ექვსი თვე და საბჭოს არავითარი ცნობა არ მიუღია ბ. მეთვალყურისაგან მაშინ, როდესაც საერო უწყებაში (დირექციაში) უკვე შეიმუშავეს ეს საკითხი და შეადგინეს საჭირო გეგმები და რუქები. ჩვენ შემთხვევით ხელში ჩაგვივარდა ქუთაისის გუბერნიის სამინისტრო სკოლების ერთ ერთ ინსპექტორის, ბ. კ. მაჭავარიანის მიერ შედგენილი გეგმა და რუქა. ბ. მაჭავარიანს შეუდგენია ბათუმის ოლქის (არდაგანამდის) რუქა, სადაც ნაჩვენებია თითეული სოფელი თავის ადგილ-მდებარეობით. ამ რუქაში შესაფერის ნიშნებით აღნიშნულია, სად რომელი ტიპის სკოლა არსებობს და სად რომელი ხარისხის სკოლაა საჭირო. რუქა ისეთი ცოდნით და დაკვირვებით არის შედგენილი, რომ მნახველს განაცვიფრებს. სასურველია ეს ნაშრომი არ დაიკარგოს, რადგან მას მარტო სასკოლო ინტერესი არ აქვს, არამედ საზოგადოც, საგეოგრაფიო. თუ არ ითაკილებს და ისარგებლებს, ეს ნაშრომი გზას გაუკვლევს ბ. იმერეთის ეპარქიის მეთვალყურეს, რომელსაც ჯერ ამ მხრივ არაფერი გაუკეთებია და, ვფიქრობთ, ვერც არაფერს გააკეთებს, რადგან სახლში ჯდომით ჯერ არაფერი გაკეთებულა. ყოველ შემთხვევაში მოუთმენლად ველით ბ. მეთვალყურისაგან შესაფერ ნაწარმოებს, მაგრამ ვაი თუ გვიან მოვიდეს!... მაგრამ არც ეს არის გასაკვირვალი: საზოგადოდ ჩვენი სასულიერო წოდება ცნობილია თავის სიზანტით, მას აგრე რიგათ ვერ გააღვიძებ, ვერ აიჩქარებ, იგი ყოველთვის ოცან მიჩანჩალობს და რა გასაკვირვალია, რომ მეთვალყურეც, რომელმაც კაი ხანია ფეხი მოიკიდა სასულიერო უწყებაში, გვიანობდეს, ზანტობდეს. „კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია...“

მაინც აღარ დაეწერა ბედი ამ ჩვენ „პრიხოდნი“ სკოლებს: არ იქნა არ გაუჩნდა გულშემატკივარი, ერთგული მოჭირნახულე. ყოფილ მეთვალყურეთაგან მხოლოდ მამა მელიტონ კელენჯერიძეს შეეძლო ეთქვა, დამივლია და ვიცი ჩემი სკოლებიო. დანარჩენებს თავის სახრავ-საკვებავ საშუალებად მიაჩნდათ და მიაჩნიათ. იგინი სკოლებს ხანდისხან თუ ნახულობდნენ და ისიც ახლო-მახლო, იქა-აქა რკინის გზის პირებში; ზოგში ფანჯრიდამ შეიქვრეტდენ, ზოგს შორიდამ დურბინდით დაათვალიერებდნენ, ზოგს გვერდს აუვლიდენ, ზოგზე გზა-გზა შეკრებდენ ცნობას და თუ საქმე გასჭირდებოდა, ქუთაისის მექათმეებსაც კი გამოჰკითხავდენ ხოლმე სკოლის გარემოებას (ამ ხელობის ხალხი ეხლა ყველგან დაიარება და მათზე უფრო სარწმუნო ცნობებს ვერავინ მიაწოდებს მუქთა ხორა, უთვალყურო მეთვალყურეს).

რა თქმა უნდა მექათმეებს გარდა ყველა გამვლელ-გამომვლელის სიტყვა საბუთია კარში გამოუსვლელ მეთვალყურისათვის, და ისიც სარგებლობს ყოველგვარ ცნობებით შესახებ სკოლებისა და მასწავლებლებისა. ეხლანდელ მეთვალყურეზე მაინც ნურაფერს ვიტყვით: მან თავის სკოლები და მასწავლებლები ისე იცის, როგორც ჩინეთის ბოგდიხანმა ჩემი და შენი ამბავი, ბ. მკითხველო! რის საბუთებსაც თუ საჭირო შეიქნა ბევრს მოვიყვანთ. მაგრამ მაინც ამ წერილით ვერ გავათავებთ ჩვენს სამრევლო სკოლების დეფექტებს.

ბოსლეველი.

(შემდეგი იქნება).

ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს *)

Отвлеченное начало равенства—ничто иное, какъ пустая фикція, которой назначеніе—обмануть общественную совесть..

Ламенэ.

Мы не пріидемъ къ свободѣ
Путемъ красивыхъ фразъ;
Всѣ рѣчи въ этомъ родѣ—
Молчите, сгубятъ насъ.

Мицкевичъ.

VII.

ბგელესიისა და სამღვდელოების წინააღმდეგ მისთვის გმოქმედობ ი, რომ ორიგე სელს უწყობს სელმწიფეების გაძლიერებას, ორიგე ჭქადაგებს მორჩილებასა და მორჩილებას მთავრობისადმი, ამბობენ სოციალისტები. და როდესაც ამას ამბობენ სახეში აქვთ პავლე მოციქულის სიტყვები, რომელიც ამბობს: „ყოველნი სელმწიფებასა მას უმთავრესისასა დაემორჩილენ, რამეთუ არა არს სელმწიფება გარნა ღმრთისაგან; ღ რომელნი იგი არიან სელმწიფებანი ღმრთისა მიერ განწესებულ არიან (რომაელთა 13—1). მაგრამ ვისაც საღმრთო წერილი დაკვირვებით წაუკითხავს და შეუგნია ის, რაც სწერია იმაში, თავის დღეში არ იტყვის იმას, რასაც ამბობენ ჩვენი სოციალისტები.

მართალია პავლე მოციქული სწერს ზემორე ხოუკანილს სიტყვებს და ასეთს აზრებს საღმრთო წერილის სხვა და სხვა ადგილებშიაც შესვდებით, მაგრამ აქაც ისა თუ როგორი სელმწიფების მორჩილებას გვიბრძანებს საღმრთო წერილი?—ამბობს რა ამ მორჩილებაზე, საღმრთო წერილი განმარტებს, თუ როგორი უნდა იყოს სელმწიფეა. იგი უნდა იყოს სიმართლის მქონი, ერთობის და საკვრულის დამამყარებელი სამეფოში, ისე, რომ არა რომელიმე მოქალაქე არ იწყრებოდეს უსამართლოდ; ქურეგის და ობლის მიმხედავი და შემწენარებელი; მაღალი ზნეობით და პატიოსნებით შემკული, რომ მისნი კეთილნი საქმენი და მოქმედებანი სანთელსავით მანათობელი იყოს მთელი სამეფოსათვის. ერთი სიტყვით საღმრთო წერილის აზრით ხელმწიფეა უნდა იყოს ისეთი, რომ მის საბრძანებელში ყველა ქრისტიანი განურჩევლად ეროვნებისა, წოდებისა, სარწმუნოებისა და პირადი ღირსებისა ბედნიერად გრძნობდეს თავის თავს.

და რომ ეს მართალია ამას გვიმტკიცებს თვით მცხოვრის და მოციქულების ცხოვრება.—ეროდი მეფე პირისპირ ამბობდა უზნეობისათვის იოანე ნათლისმცემელმა, ამ უბრალო მეუდაბნოემ; პილატეს და მღვდელმთავრებს თვალსაჩინოდ დაუმტკიცა მცხოვარმა მათი არარაობა; და როდესაც თვით მოციქულნი ქრისტესნი, ვითარცა ადამიანნი, დაიწყებდნენ საუბარს ერთი მეორესთან უპირატესობაზე, მცხოვარი ეტუოდა მათ: „რომელსა უნდეს პირველ ყოფა, იგი იყვენ მორჩილ და მსახურ ყოველთა“.

და ასეთი სახის ხელმწიფეები რომ იყოს ქვეყანაზე, ვგონებ, თვით სოციალისტები უკმეყდენ გულდრეკას და პირველად ისინი დაემორჩილებოდენ მათ, და თუ არა—მაშ რაღას ითხოვენ?!

ხელმწიფეა, იმპერატორი იქნება, პრეზიდენტი, მთავარი მინისტრი, დიკტატორი თუ სკვისბერი სულ ერთია. საქმე იმაშია თუ როგორი ზნეობის, პატიოსნების და სიმართლის მექონია სასახლე და აწ როგორ პატიოსნებას ადგიან სამეფოში მცხოვრენნი. თუ პირველი მაღალი ზნეობით და ქრისტიანული საყვარულით არის შემკობილი მაშინ ქვეშეურდომნიც ბედნიერნი იქნებიან და თუ წინააღმდეგს ვსედავთ, მაშინ სელმწიფეა თვის თავად ისპობა.

და ასეთი სელმწიფეები იყვნენ საქართველოში, საბერძნეთში და სხვაგანაც, საქართველოს მეფეები, დაკითიდგან დაწყებული თამარის მეფობის აღსრულებამდე, სწორეთ ამ სარისანი იყვნენ როგორსაც გვიხატავს საღმრთო წერილი. ამ მეფეების სარწმუნოება, მაღალი ზნეობა და სამართლიანობა ქვეშეურდომებზე გადადიოდა და ამ სახით ისეთი განწყობილება და სამართალი სუფევდა სამეფოში, რომ ვერავითარი რესპუბლიკანური წყობილება ვერ შეედრებოდა მას. არსებობა მეგრელ, სვანურ, ათუსაზურ და ოსურ ენებისა აშკარად გვეუბნება, რომ ეს ქრისტიანი მეფეები არავის არ სდევნიდნენ; ოღონდ კი ქრისტიანულად გენსოვრა და სამართალი დაგეცვა და სულერთი იყო რომელს ენაზე ილაპარაკებდა; ოღონდაც ნიჭიერი და

*) იხ. „შინ. საქ.“ № 18.

დიდი გონების კაცი ყოფილიყავ და ეროვნების მიუხ,დავად პირველს ადგილს ჰპოვებდი სამეფოში (ზაქარია მხარგძელი); ოდონდაც მამულისათვის თავდადებული ყოფილიყავ და, თუმალი გინდა სპარსელი ტყვედ რომ ჩავარდნოდი, მაინც მამაშვილურს ალერსს გაიგონებდი მეფისაგან. (სიტყვები ერეკლე მეფისა დატყვევებული სპარსელისადმი, დაბეჭდილია ჟურნალს „ცდაში“.) დავითი თავის ჯართან იყო ომის დროს; თამარი გლახაკებს თვითონ ანაჴურდებდა და ერიდებოდა სისხლის ღვრას გარემოდგომილ მტერთაგან სამეფოს დაცვის დროსაც: „მმარხველ იყო ცხრათა ნეტარებათა, და აღმასრულებელ ათთა მცნებათა, რომელმან ესე ვითარი იხმია სიბრძნე და მეცნიერება, და სიმშვიდე გონებისა, ვიდრემდის ამისსა განგებასა შინა და ცხოვრებასა ამისსა არცა თუ ტაჯვანაკი უბრძანა ვისდამე დაკრვად, რამეთუ შორს იყო ყოველის მესისხლეობისა, თვალთა დაბნელებისა და ასოთა ამოღებისა...“ *)—სიყვარულით აღსავსე გული დავითისა ვერ დაიტევდა სიმულვილს, საღმრთოთა სიტყვათა მეტყველი ენა მისი ვერ წარმოსთქვამდა საჯულს, ქრისტეს მცნებით განათლებული მისი გონება არ იკადრებდა უსამართლობასა. ასეთნი იყვნენ თვითმპყრობელნი მეფენი და ნუ თუ ასეთი ხელმწიფების მორჩილი არ უნდა გახდეს ქვეშევრდომა?! და თუ უნდა—მაშ რა მისაღებია სოციალისტების მეჴედულობა ეკლესიაზე და სამღვდელოებაზე?! სჩანს რომ საღმრთო წერილში ყოველივე ჭეშმარიტი და წმიდაა დაწერილი და თუ აღმასრულებელნი არ ვარგიან დეე ისინი გასწორდნენ, ხოლო საწმიდე კი წმიდათ და პატიოსნად უნდა დარჩეს?!

იმპერატორი, პრეზიდენტი, ემირი ანუ ბოგდისანი არის განყენებული ცნება, ეს სიტყვები სახავს მხოლოდ უფლების ანუ ხელმწიფების მქონ კაცს. თვითონ ხელმწიფე მეთაური, წინამძღოლია თავის ერისა და როგორც ასეთი, პრეზიდენტი ერქმევა მას, ემირი, შაჰი თუ სულთანი, უნდა დარჩეს, რადგანაც უმეთაუროდ არამც თუ სახელმწიფოსი, პატარა ოჯახის არსებობაც შეუძლებელია. საქმე აქ სამართლეზე და სიყვარულზეა დამოკიდებული; და ეს ორი სათნოება მაშინ დამკვიდრდება სამეფოში როდესაც მეფეც და ქვეშევრდომნიც არიან მაღალ ქრისტიანულ ზნეობით შემკობილნი; როდესაც ზნეობრივი განვითარება მეფისა და ქვეშე,რდომისა იმ ხარისხამდეა ასული, რომ გარეგანი მცნებას: „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“, საჭირო აღარ არი . და ასეთ ზნეობას და სამართლეს დაამყარებს ქვეყანაზე ისეთი ზნეობრივი თვითშეგნება ადამიანთა, როგორსაც გვაუწყებს საღმრთო წერილი. ხოლო ეკლესია და სამღვდელოება უნდა იყოს მატარებელი ქრისტეს ჯვარისა,—იმ ჯვარისა, რომელიც გვაქვს მოცემული სამართლისა და ჭეშმარიტებისათვის ტანჯვის ემბლემად; და თუ ასეთს ეკლესიას და სამღვდელოებას ვერ ვხედავთ, ვეცადოთ დაუბრუნოთ მისი კუთნეული ბრწყინვალება და არა გავთელოთ და უარვჰყოთ იგი.

VIII.

უკანასკნელი მიზანი (конечная цѣль) სოციალისტური სწავლისა არის დამყარება სოციალიზმისა, როდესაც ქვეყანაზე არ იქნება ც'ლკე ერები და ცალკე ენები, არამედ მთე ი მსოფლიო წარმოადგენს ერთ ენაზე მოლაპარაკე ეროვნებას. ამ მიზნის მისაღწევად უარჰყოფს ეკლესია და სამღვდელოება, როგორც დამაბრკოლებელი მიზეზი; მაგრამ ამ ორის უარყოფასთან უარჰყოფენ ეროვნულს „მეს“, ნაციონალურ იდეებს, რომ ამით დაიჩქარონ სოციალიზმის დამყარება ქვეყანაზე. მაგრამ სანამ სოციალისტების ასეთი აზრის სამართლეს შევეხებოდეთ, ვიკითხოთ ბუნებრივია თუ არა ეროვნული, ნაციონალური თვით-შენახვა, თვით-შეგნება??

ცხოვრებაში ცხადი ფაქტების მხედველი გადაჭრით იტყვის, რომ ეროვნული გრძნობა ადამიანისა, სიყვარული თავის ერისა და სამშობლოსადმი არის ნამდვილი ბუნებრივი, ინსტინკტიური მისწრაფება კაცის ბუნებისა და როგორც ასეთი, ძლიერია და არ დაექვემდებარება არავითარს უარყოფის თეორიას; რეალურად ამ უარყოფის განხორციელება ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც ეს გრძნობა, როგორც ბუნებრივი დაუძლეველია.

ყოველი ადამიანი უნდა ფიქრობდეს ქვეყნის წარმატებაზე; ხელს არ უშლიდეს სხვა ერის აღორძინებას; წინ არ ეღობებოდეს მის ბუნებრივს და კანონიერს მისწრაფებას, მაგრამ იმავე დროს ერთ-

*) იხ. ქართლის ცხოვრება ზაქარია ჭიჭინაძის გამოცემა 1897 წ. ტომი I გვ 411.

ბამად უნდა ფიქრობდეს თავისი თავის შენახვაზე, წარმატებაზე იმ მოსაზრებით, რომ თუ შენ შენი თავი არ გიყვარს ვერც სხვას შეიყვარებ; თუ რომელიმე ერს თავისი თავი, თავისი ეროვნება არ სწამს ის ვერც სხვის ეროვნებას იწამებს და გამოვა მხოლოდ ცალიერი სიტყვების თამაში, თავისი თავის მოტყუება. ასეთი შემთხვევები ანომალიებადაც არ მრწამს კერძო ერის ცხოვრებაში, ე. ი. რომ რომელიმე ეროვნების გვამა სხვა ეროვნებას ანაცვალოს თავი და თავისას ზურგი შეაქციოს. ისტორიკოსი ბოკლი დიდათ აქებს ფრანგებს, როგორც ნიჭიერ ხალხს, მაგრამ მაინც ამბობს: „მე ბედნიერი ვარ, რომ ისეთ გონიერ ერს ვეკუთვნი, როგორიც არიან ინგლისელებიო“. და ასეთი აღსარება ბოკლისა ნამდვილ ბუნებრივია, და არავითარ ჩირქს არ სცხებს მის მაღალ პიროვნებას. მაშასადამე რომელიმე ერისაგან თავის ეროვნების უარყოფა ნამდვილ ბუნების წინააღმდეგია და როგორც ასეთი რეალურად განუხორციელებელი. კერძო პირებს, რომელიმე ერის წარმომადგენლებს, შეუძლიანთ სთქვან ეს, მაგრამ ასეთი თქმა ნამალადევი იქნება და მაშინაც თეორია და არა აქსიომა ჭეშმარიტება.

თავის სამშობლოსადმი და მამულისადმი სიყვარულს ზოოლოგები ფინველებშიაც კი ხედვენ და ასაბუთებენ ცხოველთა ცხოვრებიდგან მრავალი მაგალითებით?!..

მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნეების განმავლობაში ბევრი თეორიები შექმნა ბრძენმა კაცებმა, მაგრამ ამ თეორიებში ბევრი მიეცა დავიწყებას, როგორც უნიადაგო და ცხოვრებაში განუხორციელებელი. მხოლოდ დარვინის თეორია „ბრძოლა არსებობისათვის“ დარჩა და იქნება მანამდის, სანამ ორი სულდგმული მაინც დარჩება ქვეყანაზე; იმისათვის რომ ეს თეორია ბუნებრივია, ბუნებასთან არის დაკავშირებული. არსებობისათვის ბრძოლა ბუნებამ წარმოშობა. სადაც ბრძოლაა იქ სიცოცხლეა; სადაც შეჯახება, კონკურენცია არის იქ მოძრაობაც არის; სადაც სიცოცხლე და მოძრაობაა, იქ სხვა და სხვაობაა, რომელიც ერთნაირს სიამოვნებას ჰგვრის კაცობრიობას. ბრძოლის მოსპობით ისპობა სიცოცხლე და მაშასადამე მთელი მსოფლიო ცხოვრების ელფერსა ჰკარგავს. და სანამ ასეთი მოძრაობა, ასეთი ბრძოლა, ასეთი ჯიბრია ქვეყანაზე, მანამ კერძო ერებიც, თავიანთ ენაზე მოლაპარაკენი, იქმნებიან, და იქმნებიან მანამდის სანამ ექმნებათ ცხოვრების უნარი; ხოლო როდესაც წარმოანთხევენ თავის ძალებს, წარმოაცალიერებენ თავის ენერგიას, მაშინ მოკვდებიან, მოისპობიან როგორც მაგალითად ბაბილონელები, ფინიკიელები და სხვანი. მაგრამ მოსპობა და სიკვდილი მათი იქნება ბუნებრივი და არა ძალდატანებული, ხელოვნური და მათ ადგილზე აღორძინდებიან სხვა ერები, როგორც აქნამდის ყოფილა. „მთელი მსოფლიოვო, ამბობს ლიუდვიგ გუმპლოვიჩი თავის „სოციოლოგია და პოლიტიკა“-ში, არის ძალთა თამაში. მხოლოდ ცალკე ნაციონალურ და სოციალურ საზოგადოებათა ძალი აძლევს მას არსებობის უფლებას. და ეს ძალა გამოისატება ბრძოლაში, რომელიც თავის თავად არის მსგავსი ღმრთისაო.“ *)

ამ მოსაზრებით თანამედროვე სოციალისტთაგან ეროვნების და დედა ენის უარყოფა უსაფუძვლოა და უნიადაგო. ვიდრეც რომ განხორციელდეს მათი თეორია, რომელიც შეუძლებელია, ცხოვრება არაფრად არ ეღირება, რადგანაც არსებობისათვის ბრძოლის მოსპობასთან სიცოცხლეც მოისპობა.

მაშასადამე ის ქართველი ძლიერ შემცდარი იქნება და მოღალატე ცხოვრების ბუნებრივი მიმდინარეობისა, რომელიც ხელს არ შეუწყობს თავის ერის ეროვნულს თვითშეგნების გაზრდას და განვითარებას და ნაციონალურ იდეების აღორძინებას და აღფრთოვანებას.

ყოველი გონიერი მოღვაწე იმოდენად არის დაფასებული და ღირსი გაგონებისა, რამოდენადაც სისწორით შეუგნია მას თანამედროვე საზოგადოების მაჯის ცემა; რამოდენადაც თავისის ღვაწლით და მოქმედებით ხელს უწყობს იგი თავის დროის რეალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას და განვითარებას; რამოდენადაც აძლევს იგი საზოგადოებას, არსებით პურს ცხოვრებისას. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არის მეტიჩარა, მყვირალი, ფეხის ხმის ამყოლი მასხარა, რომლის ცხოვრება და მოქმედება ნაცვლად ნამდვილ სარგებლობისა და სიკეთისა ჰქმნის ცხოვრებაში საშინელს სიმყრალეს და

*) Людвигъ Гумпловичъ. Соціологія и политика 1895 г стр. 100.

სიბინძურეს, რომლითაც საყნოსელი ულპება ადამიანსა. და ასეთი მეტიჩარა მოღვაწე, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, მასხარა, რომლებიც ყოფილან ყოველს დროში და ყოველს ერში და იქმნებიან კიდევაც, და რომლებიც მათის უგუნურებისა გამო გამხდარან ღირსად შებრალებისა მომავალს თაობაში—ღირსია თვით საზოგადოების მიერ ადრევე განდევნისა და შეჩვენებისა, რომ მის მიერ ჩათესილი ღვარძლი არ აბრკოლებდეს ნამდვილ პურის ამოსვლას.

შენც შეგიძლია იყო მგოსანი, ორატორიკოსი, ჟურნალისტი, მეპურე გინდა მეჩექმე, მაგრამ განჩრდი თავის მოქმედების ფარგალში; შეიგნე შენი მოწოდების საგანი და ისე იმოქმედე. მაგონდება ბერნეს ნათქვამი სიტყვები: „მე მელნით კი არა ვსწერ, როგორც სხვანი—არამედ მე ვსწერ ჩემს გულში მომწყვდეულის სისხლით და ჩემის ნერვების წვეთითო.“ და მართლაც ყოველი შეგნებული მწერალი ასე უნდა სწერდეს და ვაი მას, ვინც ასე არ სწერს და არ მოქმედებს!—ის მატყუარაა, იგი მაცთურია საზოგადოებისა, რომელსაც ჯვარისამებრ მიაგებს მსჯავრი ისტორიისა...

ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს და მათ ზოგიერთ თანამშრომლების მოქმედებას რომ დააკვირდეთ,—ასე შეუგნიათ თანამედროვე ჩვენი საზოგადოების მაჯის ცემა, რომ უნდა მოისპოს სარწმუნოება, ეკკლესია და ეროვნება. ასეთი იდეების გავრცელებას ბეჭდვით თუ სიტყვით ხშირად შევსწრებივართ ჩვენ; და თუ მართლა ასეთია ჩვენი საზოგადოების მაჯის ცემა და მოთხოვნილება ესეც აღარ ვიცი!—ეს ხომ სასიკვდინე სნეულება იქნება, ვინაიდგან არა რომელიმე ერს ასეთი მაჯის ცემა არ ჰქონია; ეს ხომ გედის სიმღერა იქნება სიკვდილის წინ... — მაგრამ ეს ასე როდია, ეს სიმცრუეა, ეს ნახტომია დაბალღმებული გონებისა!! დე ისტორიამ მიაგოს პასუხი ასეთს კაცებს და გაზეთებს!! დე ყოველმა ეროვნულმა მართლ-მსაჯულებამ დასდვას თავისი მსჯავრი ასეთს მოქმედებას!...

ჩვენ გვრწამს სიდიადე და ძლიერება ბუნებრივი მისწრაფებისა; მას ვერ შეაჩერებს ვერავითარი წინააღმდეგი მოქმედება და დაბრკოლებანი. ჩვენ გვრწამს ბრწყინვალე მომავალი მრავალტანჯულის ჩვენის ერისა!.. მაშ თქვენ, გონიერნო ქართველნო მოღვაწენო და ჩვენი ერის ჭირისუფალნო! სულით და გულით ხელი შეუწყვეთ ჩვენი ერის ბუნებრივს მისწრაფებას ჩვენს ეროვნულს თვითშეგნებას, ჩვენი ერის ზნეობრივად ამაღლებას, მისი ნაციონალური იდეების განმტკიცებას და განვითარებას და არა მის გათელვას და უზნეობის ქადაგებას, რასაც სჩადიან ზოგიერთი გაცუნები!!..

Мы не пріидемъ къ свободѣ
Путемъ красивыхъ фразъ;
Всѣ рѣчи въ этомъ родѣ,—
Молчите, сгубятъ насъ!

ივერიელი.

1907 წ. 28 ივლისი.

ქრისტიანული აღზრდა ნებისა.

„სასუფეველი ღვთისა შორის თქვენსა არს (მ. 17, 21.)

სასუფეველი ღვთისა ძალით მოიხვეჭების და ვინც ძალას ხმარობს იგი მოიხვეჭს მას (მტ. 11, 12.)

ადამიანი მეტის მეტი რთული არსებაა. მას აქვს აურაცხელი თანშობილი მოთხოვნილებანი და მიდრეკილებანი; იგი იბადება და არსებობს ამ მოთხოვნილებებთან ერთად; ეს მოთხოვნილებანი სხვა და სხვანაირია, როგორც თავის თვისებით ისე თავის სიმკაცრით და გამომეტყველებით. არიან მოთხოვნილებანი სულიერნიც გონებითნი, ესტეტიკურნი და ზნეობითნი. პირველ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ჰბადებს მცენარისებურ, ცხოველურ ცხოვრებას, რომელსაც არ აქვს სულიერი საკითხები, არ აქვს იდეალი, უმაღლესი ლტოლვილება; ეს, ნამდვილად რომ ვსთქვათ, არც ცხოვრებაა, არამედ მხოლოდ სიცოცხლე. ეს არის ცხოვრების მდაბალი ფორმა.

გონების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება აძლევს ადამიანს შეძლებას გამოერკვეს ცხოვრებაში. მეცნიერების საშუალებით, თავისი გამომძიებელი ჭკუით ადამიანი ყოველ ახალ თაობასთან უფრო უკეთ და უკეთ ეცნობა ქვეყნიერებას, ამ თავის მოქმედების სარ-

ბიელს; უფრო სისწორით ირკვევს თავის ნიჭებს და უფრო ხელოვნურად ხმარობს ბუნების ძალებს. მაგრამ ეს კიდევ არაა საკმარისი. ადამიანი უბრალო მაყურებელი არაა ქვეყნიერების დრამისა, იგი მოქმედი პირია, ძასში ერთი პირდაპირი მონაწილეთაგანია. კითხვა როგორ ისარგებლებს იგი შესწავლული ძალებით, რა როლს აღირჩევს იგი, როლს კეთილშობილი გმირისას, საზოგადო სიკეთისთვის თავგანწირული მუშაკისას, უბრალო მაწანწალისას, თუ გონჯი ეგოისტისას, - საბედისწრო კითხვაა. მოვალეობის შეგნება თავის თავად კიდევ არ იძლევა მის აღსასრულებლად საჭირო ძალას. ადამიანის ყოველი მოქმედების წყარო მისივე ნებაა და ამიტომ, ადამიანი რომ ნამდვილად მისგან შექმნილ გონიერ, ჭეშმარიტ გზას დაადგეს, საკმარისი არ არის, რომ ჭკუამ მიიღოს იგი, საჭიროა ღვაწლი, შინაგანი მოძრაობა ნებისა. დააკმაყოფილეთ, წესიერათ გულის მოთხოვნილება; მიეცით გულს ისეთი გამოცანა, რომელსაც შეეძლოს მისი დატყვევება, მისი მოხიბლვა; დაუყენეთ მას წინ ისეთი იდეალი, რომელსაც მხოლოდ თავის სიდიადის ერთი შეხედვით შეეძლოს დაიპყროს ადამიანის ნება და თქვენ მიიღებთ ისეთს ცხოვრებას, როგორიც უნდა იყოს იგი და როგორიც შეიძლება იქნეს. უწეს-რიგობა იმ ცხოვრებისა, რომელიც გარშემო გვარტყია, დაღვრემილი და უხალისო მისი ნიადაგი განსაკუთრებით მით აიხსნება, რომ გულის მოთხოვნილება უარყოფილია, იგინი შედეგია ადამიანის გაფუჭებული, ბოროტი ნებისა. ამიტომ, საფიქრებელია, რომ სწავლას ნების წესიერი აღზრდისას ფართო ადგილი უნდა ეჭიროს, როგორც ძირითად სწავლას ცხოვრებისას. „მაგრამ, ყველაფერზე გასაკვირვალი ისაა, ამბობს ერთი ფრანგის მწერალი, რომ ადამიანები დანარჩენ ყველაფერში გრძნობენ მასწავლებლების და სწავლის საჭიროებას; იქ ისინი ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობენ, ხოლო ცხოვრების მეცნიერებას კი არ სწავლობენ.“ შეხედეთ როგორ ზრუნავენ მშობლები თავის შვილების ფიზიკურ და გონებრივ აღზრდაზე და როგორ ცოტას ფიქრობენ, ცოტათ შესტკივათ გული მათ ზნეობრივ აღზრდაზე. რამდენი ყურადღება, შფოთი და ზრუნვაა ერთ შემთხვევაში და როგორი გასაკვირვალი დაუდევრობა და გულდადებული მშვიდობიანობა მეორეში! თვალ-ყურს ადევნებენ, ბავშვების ოთახებში გაღებული არ დარჩეს სარკმელი; სასტიკად არიდებენ ბავშვებს სულ მცირე ნოტიოს და ძლივს შესამჩნევ გამკრავ ქარს; როგორც წამალს, საათობით აძლევენ მათ საჭმელს და აძინებენ, დარაჯად უდგიან მცირეოდენ ხველას და გულის ხრიალს, გულის ფანცქალით ადევნებენ თვალყურს თვით მცირეოდენ სიცხის მომატებას. დაიწყებენ თუ არა ბავშვები სწავლას, მათ ჭირისანაცვლოდაა სხვა და სხვა ჯილდო აღებული სასწავლო ნივთები, საუკეთესო მეთოდები, გუვერნიორები რეპეტიტორები, თვით მშობლები თვალყურს ადევნებენ თითეულ გაკვეთილის დასწავლას. ამ ყურადღების მეასედი ნაწილიც იყოს, არის თუ არა მიქცეული ბავშის ზნეობრივ აღზრდაზე? თუ ბავში ღონიერათ იზრდება, რა უფრო აშფოთებს და აწუხებს მშობლებს, ბავშის სულის უდროოდ ზნეობით დაცემა, თუ ჭკუის ნელი, დაგვიანებული განვითარება? როდესაც ბავშვი თითოეული გირვანქა ახალ ხორცის მომატებასთან ერთად იწყებენ თავის ჩენას დედის ძუძუსთან შეწოვილი მდაბიო მიდრეკილებანი (ალღოები), როდესაც ის ყოველ ახალ სიტყვასთან ერთად უფრო-და-უფრო იწყებს გაუმაძღრობის, ცრუობის, ცბიერობის და სხვა ბიწიერებათა გამოჩენას, მაშინ პირველი ნიშნები ბავშის ზნეობრივი განხრწნისა განაიწვევენ ოჯახობაში ია აღშფოთების აჩრდილს მაინც. რომელსაც გამოიწვევს ხოლმე, ბავშის ავათმყოფობის პირველი ნიშნები, მაგ. წითელასი, ხველასი და ყელათმისა? ხმარობენ თუ არა მართებულ ღონეს ზნეობრივი სენის მიზეზების აღმოსაჩენად, ან აღმოჩენის შემდეგ მოახდენენ ხოლმე ისეთ ბეჯით ზნეობრივ დეზინფექციას, როგორსაც მოახდენენ ხოლმე რომელიმე გადამდებ სენის შემდეგ? ბავშებიდგან გადვიდეთ ყრმებზე. მოსწავლე ახალგაზდობაში ბევრია სხვა და სხვა საზოგადოება, სხვა და სხვა წრეები, რომლებსაც მიზნათ აქვთ დაეხმარონ ფიზიკურ განვითარებას და მეცნიერულ

და მხატვრულ თვითგანვითარებას, მაგრამ ვიცით ჩვენ ისეთი წრეები, რომლებსაც მიზნად ჰქონდეს ხელი შეუწყოს ზნეობრივად თვითგანვითარებას (თვითაღზრდას). ყველა ეს ისეთი კითხვებია, რომლებზედაც ცხოვრება ნამეტან დამაღონებელ პასუხებს იძლევა. რატომ არის ეს ასე, ამის ახსნა ძნელი არ არის. პოლიტიკურ ეკონომიაში კანონადაა მიღებული, რომ მიწის შემუშავება იწყება ყოველთვის ისეთი ნიადაგებიდგან, რომლებიც ნაკლებ მოსავალს იძლევიან, მაგრამ უფრო ადვილი დასამუშავებელი არიან და შემდეგ გადადის უფრო მოსავლიან ნიადაგზე, რომელიც მეტს შრომას და ხარჯს ითხოვს შემუშავებისათვის. ამასვე ვხედავთ აღზრდის საქმეშიაც. აქაც ჩვეულებრივ იწყებენ ნაკლებ რთულ, უფრო მარტივ მოვლენათა შესწავლით, ისეთ მოვლენასა, რომელთაც არ აქვთ საპატიო შეგეგი, ჩვენ მოქმედებათა მათ ზედგავლენაზე რომ ვიგულისხმოთ, და, შეიძლება, მხოლოდ შემდეგში გადავიდენ არსებით, ძირითად მოვლენებზე, რომლებიც მეტ ყურადღებასაც თხოულობენ და მეტ ჯაფასაც, მაგრამ მაგიერად უფრო მომეტებული კეთილი მოვლენა აქვთ ცხოვრებაზე. უსაცილოდ, უფრო ადვილია რომ ბავში სხეულით გავამაგროთ, გავაღონიეროთ, გავხადოთ ამტანი, მარდი, გავამდიდროთ მოსწავლეთა ჭკუა სხვა და სხვა ცოდნით, გავუხსნათ მათ გემო მშვენიერებისა, ვიდრე შევიმუშაოთ მათგან მთლიანი ზნეობრივი ხასიათი, მივმართოთ მათი ნება საძებნელად უკვდავ ჭეშმარიტებისა და სულიერი მშვენიერებისა, ხოლო ეს უკანასკნელი კი უმთავრესია ადამიანში. რომელი ბრძენი ეპიტეტი ამბობს: „თქვენ დიდ სამსახურს გაუწევთ სახელმწიფოს, თუ მის მაგიერ რომ მაღალი შენობები ააგოთ ეცდებით აღამაღლოთ თქვენი თანამოქალაქების სული; უმჯობესია რომ სულით ამაღლებული ადამიანები იფარებოდენ ჰატარა ქოხებში, ვიდრე მდაბალსულოვანები იმალებოდნენ ვეებერთელა ოდებში.“ სვიფტი თავის „გულივერში“ ასეთ რჩევას იძლევა: „უმაღლეს სახელმწიფო ადგილზე არჩევნების დროს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს პიროვნების ზნეობრივ თვისებებს, ვიდრე მათ ნიჭსა და ტალანტს. მისი აზრით თვით უმაღლეს გონებრივ ნიჭებს არ შეუძლიათ ზნეობრივი თვისებების მაგიერობა გასწიონ და ამისათვის ყველაზე უფრო საშიშია, რომ მართებლობა ჩაუარდეს ხელში ისეთ პირებს, რომელნიც, თუმცა დიდათ განვითარებულნი არიან, მაგრამ ზნეობრივი სიმტკიცე არ აქვთ; რადგანაც კეთილგანძრახვასთან უვიცობით ჩადენილს შეცდომას იმდენი ცუდი შედეგი არ მოჰყვება, რამდენიც ბუნებით ზნეობა გაფუჭებულ კაცის მოქმედებას, რომელსაც თავის ნიჭის მეოხებით შეძლება აქვს უფრო მეტად განავითაროს და დააფასოს თავისი ბიწიერება.“ რუსსო ამას უმატებს შემდეგს: „მეფის კარის კაცობა ყველას შეუძლია, ხოლო ადამიანობა კი ყველას არ შეუძლიაო.“ ნამდვილ ადამიანად რომ გარდვიქმნეთ, საჭიროა დიდი შრომა, ხანგრძლივი მედგარი ბრძოლა ცხოველურ ინსტიქტების წინააღმდეგ და უღალავი ზრდა მოწიწებისა ცხოვრების უმაღლეს იდეალის წინაშე. აი სწორეთ აქ იმალება უმთავრესი შეცდომა ჩვენის აღზრდისა.

ე. ჩ—ძე.

(შემდეგი იქნება).

რედაქტორი მღვდელი სიმონ მჭედლიძე.
გამომცემელი იოსებ ლეჟავა

განცხადება

დაიბეჭდა და იყიდება

ახალი წიგნი მღვ. მ. კელენჯერიძისა:

თეორია სიტყვიერებისა — მეორე დასრულებული გამოცემა. ფასი 40 კ. იყიდება ქართული ქრესტომატიაც — მისაკე I, II, III და IV კლასებში საკითხავი წიგნი.

იკითხეთ: ფოთში ავტორთან, ქუთაისში ი. კვიცარაძესთან და ვ. ბეჟანიშვილთან, თბილისში წერაკითხვის საზოგადოებაში.

Типографія І. М. Хеладзе въ Кутаисѣ. Тифлисская ул., д. Джорджикія.